

## სირთულეები სწავლისა და სწავლების პროცესში და მათი დაძლევის სტრატეგიები

თინათინ საბაური<sup>1</sup>.თინათინ სახელაშვილი<sup>2</sup>

<sup>1</sup>განათლების მეცნიერებების მაგისტრი. ქ. რუსთავის მე-16 საჯარო სკოლის სპეციალური პედაგოგი  
<sup>2</sup>ისტორიის მაგისტრი, ანტუან დე სენტ- ეგზუპერის ფრანგულ- ქართული კოლეჯის მასწავლებელი

### ანოტაცია

21-ე საუკუნის გამოწვევებმა, სწავლისა და სწავლების თანამედროვე მულტიმოდალურ მეთოდებთან ერთად, სხვადასხვა ტიპის სირთულეებსაც მისცა ასპარეზი, რომელთა დაძლევა, ხშირ შემთხვევებში, პედაგოგის პირდაპირი მოვალეობაა. ალბათ, ყველასათვის ნაცნობი ჭეშმარიტებაა, რომ საუკეთესოდ დაგეგმილი გაკვეთილიც კი შესაძლოა ჩაიშალოს, თუნდაც ერთი მოსწავლის ქცევითი აშლილობის „გაუთვალისწინებელი“ გამოვლინების ფონზე, ან სწავლების პროცესში წარმოჩენილი სხვადასხვა ტიპის სირთულეების შედეგად. ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ მოვლენად მოსწავლეების სწავლისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება წარმოადგენს. შესაბამისად, დღესდღეობით კიდევ მეტად მნიშვნელოვანი ხდება, საგნის მაღალკვალიფიციურ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად, პედაგოგის მიერ კლასის მართვისა და თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური ურთიერთობისა და კომუნიკაციის დამყარების „ხელოვნების“ დაუფლების გარდაუვალობა. სწავლა რომ სახალისო, საინტერესო პროცესად იქცეს, პედაგოგმა სხვადასხვა სტრატეგია უნდა გამოიყენოს.

ნაშრომის ძირითადი მიზანი გახლავთ, სწავლა/სწავლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გამოვლენა, სწავლის უნარის დარღვევების დაძლევა და მისი პრევენცია.

სწავლა/ სწავლების პროცესში გამოვლენილი სირთულეებისა და სხვა ტიპის ქცევითი აშლილობების გამოვლენა წარმოადგენს თემის აქტუალობას, რადგან ეს საკითხი საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში, განსაკუთრებით კი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, მეტად პრობლემატურია.

კვლევის მეთოდებად გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევა - გასაუბრება და რაოდენობრივი კვლევა – კითხვარების სახით.


**საკვანძო სიტყვები:** მოსწავლეთა იდენტიფიკაცია, მშობლებთან კონსულტაცია, ძლიერი და სუსტი მხარეები, ინდივიდუალური მუშაობა, პედაგოგის თვითკრიტიკულობა.

„პრობლემის სწორად ფორმულირება ზოგჯერ  
უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი  
გადაჭრა!“

აინშტაინი

მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისგან სწავლის უნარით, ახალი მასალის ათვისების ტემპით და მიდრეკილებებით სხვადასხვა საგნების მიმართ. მასწავლებელი აცნობიერებს რა ამ მრავალფეროვან განსხვავებას, ცდილობს, რომ სწავლების პროცესში ყველა მოსწავლის საგანმანათლებლო ინტერესი ერთნაირად იყოს გათვალისწინებული. ამის მისაღწევად მასწავლებლები სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. მაგალითად, დამატებითი და ინდივიდუალური მეცადინეობა მოსწავლესთან, მასალის გამარტივება ან უბრალოდ მოცულობის შემცირება, ახალი მასალის დამატებითად ახსნა და მოსწავლის წახალისება. თუმცა, არსებობენ ისეთი მოსწავლეებიც, რომელთაც სწავლასთან დაკავშირებული რთული პრობლემები აქვთ და მიუხედავად მასწავლებლის ძალისხმევისა, ისინი მაინც ვერ ითვისებენ ახალ მასალას. უჭირთ კითხვა, ვერ ისვენებენ გაკვეთილზე და გაუთავებლად მოძრაობენ, მუდამ ზარმაცობენ, ყველანაირად არიდევენ თავს სასწავლო გარემოს და უბრალოდ არ ინტერესდებიან საგნით. სამწუხაროდ, მოსწავლეები, რომელთაც ამგვარი სწავლის სირთულეები აქვთ, სწავლის დაწყებისთანავე „დადღასმულნი“ არიან და თითქოს ყველა შეგუებულია, რომ „მათგან არაფერი გამოვა“. სწავლის ადრეულ ეტაპზევე გამოტანილი ეს ვერდიქტი მოსწავლეს ბოლომდე მიჰყვება და მისი მრავალი ემოციური, თუ ქცევითი პრობლემების საფუძველი ხდება. მოსწავლისთვის დაღის დასმა და მისი წარუმატებლობისთვის განწირვა ხშირად იმიტომ ხდება, რომ მასწავლებელმა არ იცის, რასთან აქვს საქმე. ეს უბრალოდ სიზარმაცაა თუ სირთულეები სწავლის პროცესში? ეს კითხვის უუნარობაა თუ მეცადინეობის და სიბეჯითის ნაკლებობა? და რაც ყველაზე მთავარია, მასწავლებელმა ხშირად არ იცის, ვის მიმართოს მოსწავლის პრობლემების თაობაზე. მშობლებს თუ კოლეგებს? მშობლები ხშირად თავად არიან დაბნეულნი, ვერ გარკვეულან, რა ემართება მათ შვილს და პასუხს მასწავლებელს სთხოვენ.

ამ საკითხის უკეთ წარმოსაჩენად გადავწყვიტეთ, კვლევა გვეწარმოებინა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. გამოვკითხეთ ქალაქ თბილისის, ქალაქ რუსთავის კერძო და საჯარო სკოლების პედაგოგები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეებში მოტივაციის ნაკლებობასთან ერთად მძიმე სოციალური ფონი და მშობელთა ნაკლები ჩართულობა ერთ-ერთ ყველაზე გადაულახავ პრობლემად რჩება. დიაგრამის სახით გთავაზობთ კვლევის შედეგებს:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, მშობელთა ჩართულობის გაზრდით მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას საჯარო სკოლების პედაგოგების 11,11% , ხოლო კერძო სკოლების პედაგოგების 23,50% ცდილობს.

ინდივიდუალური მუშაობით მოსწავლეების დაინტერესებას საჯარო სკოლის პედაგოგების 13, 89%, ხოლო კერძო სკოლების პედაგოგების - 18,75% ახერხებს.

„სკოლის გარეთ“ ურთიერთობის დამყარების მაჩვენებელი კერძო სკოლების პედაგოგების შემთხვევაში ოდნავ მაღალია საჯარო სკოლების პედაგოგებისაზე.

რაც შეეხება საგაკვეთილო პროცესში თვალსაჩინოებებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, საჯარო სკოლები მნიშვნელოვნად, კერძოდ კი 6,83%-ით ჩამოუვარდება კერძო სკოლებს.

გაკვეთილზე მოსწავლის უქმად ჯდომის პრევენციისათვის მისი მარტივი დავალებებით დატვირთვაში ორჯერ უფრო დომინირებენ საჯარო სკოლების მასწავლებლები.

საჯარო სკოლების პედაგოგების 13,89% , ხოლო კერძო სკოლების 12,50% თვლის რომ გადის მოსწავლეებთან შედეგზე. შედეგის მისაღწევად ხელის შემშლელ ფაქტორებად საჯარო სკოლების მასწავლებლების 13,89% მშობლის გულგრილობასა და უყურედლობას, მძიმე სოციალურ ფონს ასახელებს, მაშინ როდესაც კერძო სკოლის პედაგოგების მხოლოდ მცირე ნაწილი (3%) მიიჩნევს მშობელთა არასაკმარის ჩართულობას პრობლემად.

გთავაზობთ სწავლისა და სწავლების პროცესში გამოვლენილი სირთულეების დაძლევის სტრატეგიებს:

**პირველ რიგში** უნდა გაირკვეს და ყველასთვის ნათელი გახდეს, თუ რა ტიპის სწავლის დარღვევასთან გვაქვს საქმე, ანუ რატომ ვერ სწავლობს ბავშვი. რა გამომწვევი მიზეზები აქვს მის სწავლის უუნარობას. ამ კითხვაზე პასუხი მხოლოდ ბავშვის შესაძლებლობებისა და კოგნიტური ფუნქციების შეფასებას შეუძლია გასცეს, რომლის განხორციელებაც პედაგოგსა და სპეციალისტებს ფსიქოლოგების ხელთ არსებული ტესტების, კითხვარების და ბავშვის ქცევაზე დაკვირვების საფუძველზე შეუძლიათ. შეფასებამ ყველა ის სფერო უნდა მოიცვას, რომელიც ბავშვის სწავლის სირთულეებს უკავშირდება. განსაკუთრებული ყურადღება ბავშვის ინტელექტუალურ, აკადემიურ, მოტორულ, ემოციურ, ქცევით და სოციალურ უნარებზე უნდა გამახვილდეს.

**აუცილებელია** სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეების **იდენტიფიკაცია** / შეფასება, რომელიც საკლასო ოთახშივე იწყება, როცა მასწავლებელი ათვისების და ქცევის სირთულეებს აფიქსირებს. სირთულეების პირველადი დაფიქსირების შემდგომ, მასწავლებელი იწყებს სიღრმისეულ, სისტემატურ დაკვირვებას მოსწავლის სწავლასა და ქცევაზე საკლასო ოთახში. ამის შემდეგ, მასწავლებელი ცვლის სწავლების სტრატეგიას და ბავშვთან მიდგომას და აკვირდება, თუ რა შედეგი გამოიღო ცვლილებებმა სასწავლო პროცესში.

**შემდეგ ეტაპზე** მასწავლებელი მართავს კონსულტაციას მოსწავლის მშობელთან და, თუ შესაძლებელია, თავად მოსწავლესთანაც არსებული სირთულეებისა და მიდრეკილებების შესახებ. საუკეთესო შემთხვევაში კონსულტირებისას უპრიანია სკოლის ფსიქოლოგის ჩართვაც. ბევრი მოსწავლისათვის ამგვარი მულტიდისციპლინური მიდგომა და მასწავლებლის მშობლებთან თანამშრომლობა აბსოლუტურად საკმარისია, იმისთვის, რომ მათ წარმატებებს მიაღწიონ სწავლის პროცესში და ბევრი სირთულე აიცილონ თავიდან.

მასწავლებელმა **მომდევნო ეტაპზე** უნდა შეეცადოს შეისწავლოს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. მათი ინდენტიფიცირება აადვილებს მოსწავლესთან ურთიერთობას, მის არასათანადო ქცევებში მოსალოდნელი საფრთხეების დანახვას და მათ სათანადო პრევენციას. ძლიერი მხარეების დახმარებით უნდა მოხდეს მოსწავლის სუსტი მხარეების გაძლიერება და ამაღლება. ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანს არ იზიდავს, უძნელდება და, შესაბამისად, არც უყვარს ის, რაც არ იცის და არ გამოსდის. „აქილევსის ქუსლის“ აღმოსაფხვრელად პედაგოგმა სწორედ ძლიერი

მხარეებითა და მიდრეკილებებით უნდა იხელმძღვანელოს და მათზე დაყრდნობით შეძლოს ეტაპობრივად სისუსტეების გარდაქმნა. ამავდროულად, მასწავლებელმა უნდა დაიცვას და მუდმივად აკონტროლოს თანმიმდევრულობისა და სისტემატიულობის მექანიზმი, რომლის გარეშეც შეუძლებელია შედეგის მიღწევა.

სწავლების პროცესში მასწავლებლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიას მოსწავლის ინტერესების გამოვლენა-განვითარება უნდა წარმოადგენდეს. ბავშვის ინტერესთა სფერო, ხშირ შემთხვევაში, იმდენად მრავალფეროვანი და განსხვავებულია, რომ ერთი შეხედვით, საგაკვეთილო პროცესში ამის გამოვლენა თითქოს შეუძლებელია, თუმცა პედაგოგიური საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს სწორედ თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობა და თითოეული მოსწავლის, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდის, შეცნობა-გამოვლენა წარმოადგენს. მოსწავლის ინტერესთა სფეროს იდენტიფიცირება გახლავთ უმთავრესი ბაზისი მასთან წარმატებული კომუნიკაციის ჩამოყალიბებისა შესაბამისად, ეფექტური სასწავლო გარემოს დაგეგმვისა და რეალურად განხორციელებისა.

მეტად საინტერესო და ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს თანამშრომლობითი სწავლება. ამ მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელმა სწავლის პრობლემების მქონე მოსწავლეს გვერდზე უნდა დაუსვას მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე და, ამასთანავე, მისადმი მეგობრულად განწყობილი თანაკლასელი, რომელიც შეეცდება, თავის გვერდზე მჯდომს აუხსნას და გააგებინოს მასალა. ანუ ის კონკრეტულ სიტუაციაში შეასრულებს მედიატორის ფუნქციას. მასწავლებლის როლის სიმულაცია ორმაგად ეფექტურია: ის მოტივაციას უმაღლებს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეს და, ამავდროულად, სწავლის სურვილს უღვიძებს სწავლის პრობლემის მქონე თანაკლასელს.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში პედაგოგის თვითკრიტიკულობა ეფექტური სწავლების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია. სწავლების ტრადიციული მოდელები ნაკლებად იყო ორიენტირებული სასწავლო პროცესისა თუ შედეგების ანალიზსა და კრიტიკაზე, სწავლების თანამედროვე ფორმები კი ამ ორი ელემენტის გარეშე უკვე წარმოუდგენელია.

სწავლისა და სწავლების თეორიების თანახმად, თვითკრიტიკული სწავლების ევოლუცია სამ ეტაპად განხორციელდა. ტრადიციული, ქცევითი მოდელი, მასწავლებლის უნარ-ჩვევებსა და სასწავლო პროცესის წარმართვის ტექნიკურ მხარეზე იყო ორიენტირებული. ამ მოდელის ფარგლებში, მოსწავლეები სასწავლო მასალას ზუსტად ისე ითვისებდნენ, როგორც წარმოდგენილი იყო, ყოველგვარი ანალიზისა და მსჯელობის გარეშე.

მეორე, კოგნიტივისტური მოდელი შედარებით კომპლექსურია და მასწავლებლის მხრიდან სასწავლო პროცესისადმი ანალიტიკურ მიდგომას მოითხოვს. ამ შემთხვევაში მოსწავლეებს, მასალის ათვისების გარდა, მისი ანალიზი მოეთხოვებათ.

მესამე, ინტერპრეტაციული მოდელი კი, ანალიზთან ერთად, კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს, როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლეთა მხრიდან.

1987 წელს ცნობილმა ამერიკელმა მკვლევარმა, დონალდ შონმა ტერმინი "ანალიტიკური პრაქტიკა" დანერგა, რომლის თანახმადაც, პრაქტიკოსმა სპეციალისტმა მუდმივად უნდა გადახედოს თავის გამოცდილებას და პროფესიონალ კოლეგებთან კოორდინაციის შედეგად გააუმჯობესოს თავისი პროფესიული საქმიანობა. ამ ცნების დანერგვისთანავე, ბევრმა სკოლამ თუ უნივერსიტეტმა ანალიტიკური პრაქტიკის კონცეფციაზე ააგო მასწავლებლის პროფესიული განათლებისა და განვითარების პროგრამები.

მასწავლებელი სწავლების ტექნიკურ უნარ-ჩვევებს, რაც პირველი, ბიჰევიორისტული მოდელის ძირითადი მოთხოვნაა, სამუშაო პრაქტიკის პირველივე წლებში იძენს. ამ პერიოდშივე ეცნობა ის სასწავლო პროცესში წარმოქმნილ ტიპურ სირთულეებს. გარკვეული გამოცდილების მიღებისა და სირთულეების დაძლევის შემდეგ კი, მასწავლებელი, ტექნიკური უნარ-ჩვევების შექმნასთან ერთად, სწავლების ინდივიდუალურ სტილს ივითარებს და შესაბამისად, სწავლების კოგნიტივისტურ დონეზე გადაინაცვლებს. ამ მოდელზე გადასვლა, ერთი მხრივ, წინ გადადგმული ნაბიჯია სწავლების მესამე, ინტერპრეტაციულ დონეზე გადასანაცვლებლად, თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა, ის დამაბრკოლებელი ფაქტორიც გახდეს, თუ მასწავლებელი ინდივიდუალური სწავლების სტილის ჩარჩოებში მექანიკურად მოაქცევს სასწავლო პროცესში შექმნილ ნებისმიერ სიტუაციას.

სწავლების მესამე, ინტერპრეტაციული მოდელი ყველაზე კომპლექსურია და მასწავლებლისგან იმის ზუსტ ცოდნას მოითხოვს, თუ როდის უნდა იმოქმედოს, რა ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს და როგორ ახსნას მასალა, როდის გააკეთოს რეაგირება მოსწავლის ქცევაზე, რა და როგორ შეაფასოს და გააანალიზოს, იმისათვის, რომ შეცვალოს ან გააუმჯობესოს სწავლების პროცესი. სწორედ ამ დონეზე მოეთხოვება მასწავლებელს თვითკრიტიკულობა და მუდმივი პროფესიული ზრდისკენ მისწრაფება. განათლების თანამედროვე სტანდარტები, დღეს, ისე, როგორც არასდროს, მოითხოვს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებას. საამისოდ კი, პირველ რიგში, მასწავლებელს უნდა შეეძლოს თავად იაზროვნოს კრიტიკულად და მოსწავლეებსაც განუვითაროს ეს უნარ-ჩვევა. [ 2 ]

**პედაგოგის თვითკრიტიკულობა**, თვითშეფასება პროფესიული განვითარების ერთ-ერთი სტრატეგიაა. კვლევითი და ანალიტიკური შეფასების მეთოდების სწორად გამოყენება, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე. თვითკრიტიკული, მაღალკვალიფიციური პედაგოგი კი ბევრად უკეთ ფლობს სწავლების პროცესში გამოვლენილი სირთულეების პრევენციისა და დაძლევის გზებსა თუ მექანიზმებს.

დასასრულს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თვითკრიტიკულობისთვის მასწავლებელს სათანადო ხელშეწყობა სჭირდება სკოლის ადმინისტრაციისგან. თუ

თვითკრიტიკის შედეგებში სკოლის ადმინისტრაცია მასწავლებლის არაკომპეტენტურობაზე გააკეთებს აქცენტს და არა განვითარების პოტენციალზე, ცხადია, მასწავლებელი არ დაინტერესდება ობიექტური თვითშეფასებითა და კრიტიკით.

და ბოლოს, **პოზიტიური დამოკიდებულება** ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მოსწავლესთან ურთიერთობისას. მთავარია, რომ სასურველ ქცევას აუცილებლად მოჰყვებს დადებითი განმტკიცება (შექება, წახალისება, დასაჩუქრება) და, რომ ეს განმამტკიცებელი აუცილებლად მნიშვნელოვანი და ღირებული იყოს ბავშვისთვის. უმნიშვნელოვანესია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს აგრძნობინოს, რომ ის მისთვის მხოლოდ კონკრეტული საგნის პედაგოგი კი არა, მისი კეთილისმყოფელი და მეგობარია. თბილი კომუნიკაცია, თანადგომობის იმპულსის ჩვენება და პოზიტიური დამოკიდებულება ერთ–ერთი გზაა სწავლის სირთულეების უკეთ დაძლევისა და ქცევის აშლილობის პრევენციაში, რამეთუ სიტყვა ადამიანის ღირსებისადმი მიმართული მძლავრი იარაღია.

კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ: მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავს, ხშირ შემთხვევაში შედეგზე ვერ გადის მშობელთა ნაკლები ჩართულობისა და უყურადღებობის გამო.

საბოლოოდ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ისწავლონ, დაინახონ საფრთხეები მოსწავლეების არასათანადო ქცევებში და გამოიყენონ სხვადასხვა სტრატეგია, რათა წარმატებით გაუმკლავდნენ აღნიშნულ გამოწვევას და სათანადოდ მოახდინონ მათი პრევენცია. მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომისა და მათი შინაგანი სამყაროს უკეთ გაცნობა–გამოვლენის დახმარებით უნდა შეძლონ სტრესის მართვის სხვადასხვა შესაძლებლობების განხილვა და ანალიზი, ისწავლონ პოტენციური პრობლემების ადრეული იდენტიფიკაცია.

დიაგრამა: 1

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ნ. ნიჟარაძე, ქ. მაკლეინი, ტ. ბოლი, ნ. გოგიჩაძე, თ. ლოდია , „სასწავლო და პროფესიული გარემო“, 2011, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
2. <http://mastsavlebeli.ge/index.php?action=news&lang=geo&npid=3>
3. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4----4---0-0l--11-ka-00---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL2.4&d=HASH64f499e1e03beebd7ffcc7.3.1>